ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ზ ე

№09/10/2018-1

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2018 წლის 9 ოქტომბერს ქ.თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს „ელესჯი", საიდენტიფიკაციო კოდი 205279928; იურიდიულიმისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფ.დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №42ბ ;წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჩაჩხიანის სახით შემდგომში წოდებული, როგორც **"შემსრულებელი"**;

2. ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი", საიდენტიფიკაციო კოდი 202442730 იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.,№69 წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერ კიღურაძის სახით შემდგომში წოდებული, როგორც **„შემკვეთი"**;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელი ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას (შემდგომში მომსახურებად წოდებული) ხოლო, შემკვეთი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელს უხდის 1 დანართის შესაბამისად შეთანხმებულ საზღაურს.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება წარმოადგენს: **სატრანსპორტო ტაქსებით მომსახურებას**; (CPV60100000)

2. ანგარიშსწორება და გადახდის წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2550 (ორიათას ხუთასორმოცდაათი) ლარს. ანაზღაურება ხორციელდება ყოველთვიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, რომელიც ასახული იქნება ანგარიშ/ფაქტურაში ან/და მიღება ჩაბარების აქტში.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

2.3 მომსახურების ღირებულების გადახდა წარმოებს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. მიიღოს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაო;

3.1.2. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან;

3.1.3. უზრუნველყოს შემსრულებელი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სხვა პირობებით;

3.1.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით მასზე ნაკისრი ვალდებულებები;

3.2. შემკვეთს უფლება აქვს:

3.2.1. შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობის პროცესი და შემსრულებლისაგან მოითხოვოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. სამუშაოს შესრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად;

შემსრულებელი ---------- შემკვეთი ----------

3.3.2. არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს შემკვეთის მუშაობას, შელახავს მის ავტორიტეტს ან მიაყენებს მატერიალურ ზიანს.
3.3.4. შემკვეთს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ანმ ესამეპირის ინტერესებს.
3.3.5. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გაუფრთხილდეს ყველა იმ ნივთს, მოწყობილობასა თუ ქონებას, რასაც შემკვეთი გადასცემს შემსრულებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის;
3.3.8. პირადად შეასრულოს ხელშეკრუელებით ნაკისრი ვალდებულები და არ გადასცეს მესამე პირებს შესასრულებლად.
3.3.9. შემკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.
3.4. შემსრულებელს უფლება აქვს:
3.4.1. მოსთხოვოს შემკვეთს სამუშაოს შესრულებისათვის განკუთვნილი ანაზღაურების გადახდა;
3.4.2. მოითხოვოს შემკვეთისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვლადებულებების ჯეროვანი შესრულება;

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ვადამდე მოშლა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს:
4.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
4.2.2. შემკვეთის ინიციატივით ნებისმიერ დროს, თუ შემკვეთი შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე 3 დღით ადრე შეატყობინებს თავისი განზრახვის შესახებ;
4.2.3. შემსრულებლის ინიციატივით, თუ შემსრულებელი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 3 დღით ადრე შეატყობინებს შემკვეთს;
4.2.4. შემკვეთის ინიციატივით, თუ შემსრულებელი არღვევს ხელშეკრულების რომელიმე პირობას;
4.2.5. შემსრულებლის ინიციატივით, თუ შემკვეთი არღვევს ხელშეკრულების რომელიმე პირობას;
4.2.6. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედიკ ანონმდებლობის შესაბამისად;

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომელიც ხელს უშლის ან აყოვნებს რომელიმე მხარის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის აღკვეთაც სცილდება ამ მხარის გონივრულ შესაძლებლობას და მიუხედავად ამ მხარის მიზანშეწონილი მოქმედებისა, შეუძლებელია იქნეს აღკვეთილი, თავიდან აცილებული ან გამოსწორებული;
6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

შემსრულებელი ---------- შემკვეთი ----------

7. სხვა დებულებები

7.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი, რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით, უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეებმა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება (გარდა ხელშეკრულების კონკრეტული პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) უნდა განახორციელონ წერილობითი ფორმით, ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდგ აგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული ფოსტით, ან ფაქსით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ, ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემკვეთი“	„შემსრულებელი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი“ ს/კ 202442730 დირექტორი: ეთერ კიღურაძე	შპს „ელესჯი“ ს/კ 205279928 დირექტორი: გიორგი ჩაჩხიანი SWFT:TBCBGE22 IBAN: GE23TB7716636020100002
ხელმოწერა:	ხელმოწერა:
ბ.ა.	ბ.ა.

დანართი 1

№	მომსახურების დასახელება	TAXI PRIUS 213 15 15
1	1 კმ-ის ღირებულება თბილისის მასშტაბით :	0,75 თეთრი
2	აეროპორტი (1 კმ-ის ღირებულება) : • თბილისი - აეროპორტი : • თბილისი - აეროპორტი - თბილისი : • აეროპორტში დახვედრის ფასი :	1,50 ლარი 1,50 ლარი 1,50 ლარი 5 ლარი
3	გამოძახების ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): გამოძახების გაუქმების ღირებულება (როდესაც ადგილზე მისულია მანქანა):	0 3,00 ლარი
4	ჩასხდომის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მინიმალური ტარიფი:	0,75 თეთრი 3.00 ლ (მოიცავს 3 - კმ-ს)
5	გამოძახების მიღებიდან ადგილზე მისვლამდე საჭირო მაქსიმალური დრო :	15 დან 20 წუთი
6	ლოდინის დრო (არა ანაზღაურებადი) : ლოდინის დროის ღირებულება (10 წუთის შემდეგ) :	10 წუთი 1 საათი 11 ლარი.
7	1 კმ-ს ღირებულება რეგიონებში მგზავრობისას:	0,75 თეთრი
8	რეგიონში ჩაკითხვა (როდესაც მიდის ცარიელი მანქანა) :	0,50 თეთრი
9	რეგიონიდან უკან დაბრუნების ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში 1 კმ-ის ღირებულება) :	0,75 თეთრი
10	პატარა რეგიონები: მცხეთა, საგურამო, კოჯორი, კიკეთი, რუსთავი, მარტყოფი, მთაწმინდის პარკი, წყნეთი	1,00 ლარი
11	დეპოზიტური თანხა (წინასწარი ჩარიცხვა);	-

ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში, დღგ -ს გარეშე.

შემსრულებელი ---------- შემკვეთი ----------